



ვ. გ. ზეზალდი

ემიგრანტები

ვ. გ. ზებალდი
ემიგრანტები
ოთხი ვრცელი მოთხრობა

W. G. Sebald
DIE AUSGEWANDERTEN
VIER LANGE ERZÄHLUNGEN

გერმანულიდან თარგმნა მია ბადრიძემ



The translation of this work was supported by a grant from the Goethe-Institut which is funded by the German Ministry of Foreign Affairs

© 1992, Eichborn AG, Frankfurt am Main
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-546-2

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

სარჩევი

დოქტორი ჰენრი სელვინი 7

პაულ ბერეითერი 29

ამბროს ადელვარტი 65

მაქს აურახი 141

დოქტორი ჰენრი სელვინი

განადგურეთ, რაც ბოლოს მოხდა,
მოგონებებს ნუ ახლებთ ხელს



1970 წლის სექტემბრის ბოლოს, აღმოსავლეთ ინგლისში, ნორვიჩში, ახალი სამსახურის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, კლარასთან ერთად ჰინგემში გავემგზავრე ბინის მოსაძებნად. გზად ჩავუარეთ მინდვრებს, ცოცხალ ღობეებს, გავიარეთ ფართოდ ტოტებგაშლილ მუხებქვეშ, უკან მოვიტოვეთ შორი-შორს განლაგებული სოფლები

და ბოლოს, თხუთმეტი მილის შემდეგ, ჰინგემიც გამოჩნდა თავისი ასიმეტრიული ფრონტონებით, კოშკითა და ხის კენწეროებით. ცარიელ ბაზრის მოედანს გარს ფართო, მდუმარე ფასადები ერტყა, მაგრამ სახლი, რომელიც სააგენტომ მიგვასწავლა, მალევე მოვძებნეთ. ამ ქალაქში ის ერთ-ერთი დიდი შენობა იყო; სახლი შოტლანდიური ნაძვებითა და ურთხმლებით გარშემორტყმული სასაფლაოს ახლოს, ერთ წყნარ ქუჩაზე იდგა. გარეშე თვალისგან მას კაცის სიმაღლე გალავანი და ერთმანეთში გადახლართული ღვიისა და ლუზიტანიური დაფნის ბუჩქები იცავდა. სახლისკენ მიმავალ ფართო ქუჩაზე დავეშვით და მოხრეშილი მოედანი გავიარეთ. ხელმარჯვნივ, საჯინბოებისა და ფარდულების უკან, შემოდგომის უღრუბლო ცის ფონზე წიფლის ხეივანს დაინახავდით, სადაც ყვავები ბინადრობდნენ, მაგრამ ახლა, ამ ნაშუადღევს, იქაურობა მიეტოვებინათ და მათი ბუდეები ფოთლებქვეშ, რომლებსაც დროდადრო სიო არხევდა, შავ წერტილებად მოჩანდა. კლასიკური სტილით ნაგები სახლის ფასადს ველური ვაზი მოსდებოდა, კარი კი შავი ლაქით დაეფარათ. თითბრის ჩაქუჩით, რომელსაც რკალივით მოხრილი თევზის ფორმა ჰქონდა, რამდენჯერმე დავაკაკუნეთ, მაგრამ შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ცოტა უკან დავინიეთ. ფანჯრები თორმეტ ნაწილად დაეყოთ და მათი მინები მუქ სარკეებს მოგაგონებდათ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ამ სახლში არავინ ცხოვრობდა. უცებ შარანტში ნანახი სახლი გამახსენდა – ორი დამთხვეული ძმის შემოქმედება; ერთი ძმა დეკუტატი იყო, მეორე – არქიტექტორი. ათწლიანი მშენებლობის შემდეგ მათ ვერსალის სასახლის ფასადის ზუსტი ასლი აღმართეს – სრულიად უფუნქციო, თუმცა შორიდან ერთობ შთამბეჭდავი დეკორაცია, რომლის დაბურული ფანჯრებიც ამ სახლის ფანჯრებივით ბრწყინავდა. აშკარა იყო, უკან საქმის მოუგვარებლად მოგვინევდა დაბრუნება, მაგრამ ერთმანეთი მზერით შევაგულიანეთ და გადავწყვიტეთ, ბალი მაინც დაგვეთვალიერებინა. სახლს ფრთხილად შემოვუარეთ გარშემო. ჩრდილოეთის მხარეს აგურებს მწვანე ფერი დასდებოდა. გალავანი სუროს ლაქებივით დაეფარა. ხავსმოდებული ბილიკით მო-

სამსახურების შესასვლელსა და შეშის ფარდულს ჩაეუარეთ, დაჩრდილული ადგილი გავიარეთ და ქვის ბალუსტრადებიან ტერასაზე ავედით, რომლის ქვემოთაც ყვავილებით, ბუჩქებითა და ხეებით გარშემორტყმული კვადრატული მდელი ბიბინებდა. მდელის მეორე მხარეს, დასავლეთით, პარკი მოჩანდა, განმარტოებით მდგომი თელებითა და მარადმწვანე ფიჭვებით. უკან ხნულების რბილ ტალღებს დაინახავდით, ჰორიზონტზე კი – აზიდული მთებივით ღრუბლების გროვას. ამ სანახაობას დიდხანს უხმოდ მივჩერებოდით და მზერა ხან ქვემოთ ინაცვლებდა, ხან ზემოთ. თავიდან გვეგონა, რომ ახლომახლო ჩვენ გარდა არავინ იყო, მაგრამ მერე ბალის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, კედრის მეჩხერი ჩრდილის ქვეშ წამოწოლილ კაცს მოვკარით თვალი. კაცი მოხუცი იყო, თავი მოხრილ ხელზე დაეყრდნო და ფიქრებში ჩაძირული ისე ჩაშტერებოდა მიწას, რომ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. მდელი გადავჭერით და პირდაპირ მისკენ გავემართეთ. ფეხქვეშ სასიამოვნო სირბილეს ვგრძნობდით და მსუბუქად მივაბიჯებდით. კაცმა მაშინლა შეგვაძინა, რომ მივუახლოვდით და ცოტა არ იყოს, დაბნეული წამოდგა. განიერი მხარბეჭის მიუხედავად, ჯმუხი ჩანდა, შეიძლება ითქვას, დაბალიც კი. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ წელში მოხრილი იდგა – როგორც მალევე გამოირკვა, ასე სჩვეოდა ხოლმე – თითქოს რალაცას ივედრებო და ნახევრად მრგვალი, მოოქროვილჩარჩოიანი სათვალის ზემოდან იყურებოდა. ჩვეულებად ქცეული დგომის ეს მანერა უფრო ტანდაბალს აჩენდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. ჭალარა თმა უკან გადაევარცხნა, მაგრამ რამდენიმე კულული თვალში საცემად მაღალ შუბლზე მაინც ჩამოშლოდა. I was counting the blades of grass, – ისე გვითხრა, თითქოს უყურადღებობის გამო ბოდიშს გვიხდოდა: – It's a sort of pastime of mine, – და წინ ჩამოგდებული კულული უკან გადაიწია. მოუქნელი, მაგრამ თან დახვეწილი მოძრაობები ჰქონდა და თავიც ასეთივე დახვეწილი, ძველმოდური მანერით გაგვაცნო; გვითხრა, დოქტორი ჰენრი სელვინი ვარო და დაამატა, თქვენ, ალბათ, ბინის გამო შეწუხებულხართო. რამდენადაც ვიცი, ბინა ჯერ არ გაქირავებულა, მაგრამ მისის სელვი-

ნის დაბრუნებას უნდა დაელოდოთ, რადგან ბინის მეპატრონე ის გახლავთ, მე, უბრალოდ, ბალის ბინადარი ვარ, რაღაც დეკორატიული განდეგილის მსგავსიო. ამის შემდეგ საუბარი გავაბით და თან რკინის ლობის გასწვრივ მივსეირნობდით, რომელიც ბალს პარკისგან ყოფდა. ცოტა ხნით შევჩერდით. მურყნართან სამი თეთრი ცხენი ბალახობდა, რომლებიც დროდადრო ჩორთზე გადადიოდნენ ხოლმე და ფლოქვებით ნოტიო მიწას თხრიდნენ. ჩვენ დანახვაზე გამწკრივდნენ, თითქოს რაღაცას ელიანო. დოქტორმა სელვინმა შარვლის ჯიბიდან საქმელი ამოიღო და გაუნოდა, თან ხელი ნესტოებზე გადაუსვა. ასე იღებენ ჩემგან მოწყალეებასო, გვითხრა. გასულ წელს ცხენების აუქციონზე რამდენიმე ფუნტად რომ არ შემეძინა, სასაკლაოზე მოხვედრა არ ასცდებოდათ, ჰერშლი, ჰამფრი და იპოლიტე დავარქვით. მათ წინანდელ ცხოვრებაზე არაფერი ვიცი, მაგრამ, მე რომ ვიყიდე, საშინლად გამოიყურებოდნენ: ბენვი ტკიპებით ჰქონდათ სავსე, თვალები – ამღვრეული და სველ მინდორში ხანგრძლივი დგომისგან დამბალი ფლოქვები დაძეძვოდათო. ახლა ცოტა სული მოითქვეს და წინ კიდევ აქვთ რამდენი-



მე უდარდელი წელიო. მერე ცხენებს გამოემშვიდობა, რომლებიც, ჩანდა, პატრონს ძალიან მისჩვეოდნენ და ჩვენთან ერთად ბალის განაპირა კუთხისკენ გამოისეირნა. გზადაგზა ვჩერდებოდით და ბატონი სელვინი ყველაფერს დაწვრილებით გვიხსნიდა. მდელის სამხრეთით ბუჩქნარში გამავალი ბილიკი თხილის ბუჩქებით ქობასავით გარშემორტყმულ გასასვლელს უერთდებოდა. თხილის ტოტებში, რომლებიც თითქოს მწვანე სახურავს ქმნიდა, ციყვები დათარეშობდნენ. მინა ნაჭუჭებითა და თხილის გულებით იყო მოფენილი. შემოდგომის კროკუსებს ძლივს სწვდებოდა მზის სხივები, რომლებიც მოშრიალე გამომშრალი ფოთლებიდან ძუნწად აღწევდა. თხილნარი შეთეთრებული აგურის კედლით შემოსაზღვრულ ჩოგბურთის მოედანთან მთავრდებოდა. ჩოგბურთი ჩემი დიდი გატაცება იყო, გვითხრა დოქტორმა სელვინმა, მაგრამ ახლა მოედანიც ისე გავერანდა, როგორც მთელი ბალიო. მოუფლელობამ, – განაგრძო მან, – მარტო ბაღჩა კი არ გააჩანაგა – და ნახევრად დანგრეული, ვიქტორიანული ეპოქის სათბურისა და გაბარდული შპალერებისკენ მიგვანიშნა – ამდენი წლის უყურადღებობამ ბუნე-




ბაც გააპარტახა და სულ უფრო მეტად ვგრძნობ, როგორ კენესი და იდრიკება იმ ტვირთის ქვეშ, რომელიც ადამიანებმა აჰკიდესო. ცხადია, ოდესღაც მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის გაშენებული ეს ბალი, რომლის დიდი რუდუნებით მოწეული ხილითა და ბოსტნეულით მთელი წელი მაგიდა სავსე იყო, დაუდევარი მოპყრობის მიუხედავად, დღესაც საკმარის სარჩოს იძლევა იმისთვის, რომ ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილოს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მცირდებათ; თუმცა ოდესღაც სამაგალითო ბალის ასეთ გაველურებას თავისი დადებითი მხარეც აქვს, – განაგრძობდა დოქტორი სელვინი, – რასაც აქ ზოგჯერ დიდი ძალისხმევის გარეშე ვთესავ ან ვრგავ, განსაკუთრებული გემოს ნაყოფს იძლევაო.

სატაცურის სარეველამოდებულ კვლებში მივაბიჯებდით, რომლებიც მხრებამდე გვწვდებოდა. იქვე არტიშოკის ხშირი ბუჩქებიც ხარობდა. წითელ-ყვითელი ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეებს მივადექით. რამდენიმე მათგანი, რომლის მსგავსი აღარასოდეს გამისინჯავს, დოქტორმა სელვინმა რევანდის ფოთლებში გაახვია და კლარას მიაჩვენა, თან დააყოლა, ამ ჯიშს Beauty of Bath ჰქვიაო.

ამ პირველი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ საცხოვრებლად პრაიორს-გეიტში გადავედით. წინა დღით კი მისის სელვინმა აღმოსავლეთ ფლიგელის მეორე სართულზე უცნაური ავეჯით განწყობილი, მაგრამ ლამაზი ხალვათი ოთახები გვაჩვენა. მაშინვე მოგვხიბლა იმ აზრმა, რომ რამდენიმე თვეს აქ გავატარებდით. მაღალი ფანჯრებიდან ბალის, პარკისა და ღრუბლების ისეთი საუცხოო ხედი იშლებოდა, რომ პირქუში ინტერიერის კომპენსაციისთვის საკმარისზე მეტიც იყო. ფანჯრიდან გახედვისთანავე გიგანტური, ძველი გერმანული მახინჯი კარადა და სამზარეულოს მდოგვისფერი კედლები ქრებოდა და მომწვანო-ფიროზისფერი გაზქურაც, ალბათ, არცთუ უხიფათო, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, უჩინარდებოდა. ჰედი სელვინმა, შვეიცარიელი მენარმის – როგორც მალევე გამოირკვა – დიდად მოხერხებულმა და ფხიანმა ქალიშვილმა ბილიდან, ნება დაგვართო, ოთახები ჩვენი გემოვნებით მოგვეწყო. როდესაც მიშენებული, თუჯის სვეტებზე შემდგარი საა-

ბაზანო ოთახის კედლები თეთრად შევლებეთ – სახლს ის ხიდიო უკავშირდებოდა – მისის სელვინი ოთახის შესაფასებლად ზემოთ ამოვიდა და მისთვის ამ მეტად უჩვეულო სანახაობის ხილვისას უცნაური კომენტარი გააკეთა: აქამდე სააბაზანო ოთახი სათბურს მაგონებდა, ახლა კი ახალ სამტრედეს დამსგავსებიაო. ეს შენიშვნა, რომელიც გამანადგურებელი განაჩენივით ყდერდა ჩვენი ცხოვრების წესისთვის, დღემდე ვერ დავივიწყე და ვერც ამ წესში შევცვალე რამე. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ჩვენს ოთახებში ან ასევე თეთრად შეღებილი რკინის კიბით უნდა მოხვედრილიყავით, რომელიც ეზოს სააბაზანო ოთახთან აკავშირებდა, ან პირველ სართულზე ორმაგი კარით გამავალი ფართო დერეფნით, სადაც კედელზე, ჭერთან ახლოს, მოსამსახურეების გამოსაძახებლად ზარების რთული სისტემა იყო მიმაგრებული. დერეფნიდან ჩაბნელებული სამზარეულო მოჩანდა, სადაც დღის ნებისმიერ დროს გაურკვეველი ასაკის ქალს დაინახავდით, რომელიც სულ ნიჟარასთან ტრიალებდა. ამ ქალს ეილინი ერქვა და თმა კეფაზე ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტისგან გაეპარსა. სახის შეშინებული გამომეტყველება, ასეთივე მოძრაობები და სველი ტუჩები ჰქონდა; ტანთ მუდამ ნაცრისფერი კაბა-ხალათი ეცვა, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა. რა ფუნქცია ეკისრებოდა სამზარეულოში ეილინს, ვერც მე დავადგინე და ვერც კლარამ, რადგან საჭმელი, იმ ერთადერთი გამონაკლისის გარდა, რომელზეც მოგვიანებით მოგახსენებთ, იქ არ კეთდებოდა. დერეფნის მეორე მხარეს, ქვის იატაკიდან ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლეზე, კარს დაინახავდით, რომლითაც კიბის ბნელ ბაქანზე მოხვედებოდით. აქედან ყველა სართულზე დერეფნები გადიოდა, რათა სახლის პატრონებს ფეხებში არ მოსდებოდნენ მოსამსახურეები, წამდაუნუმ რომ დაარბენინებდნენ აქეთ-იქით ნახშირით სავსე ვედროებს, ხის ვარცლებს, სანმენდ საშუალებებს, ლოგინის თეთრეულსა და ჩაის ლანგრებს. ვცდილობდი, წარმომედგინა, როგორ ჰქონდათ ტვინი მოწყობილი და რა წარმოდგენებით ცხოვრობდნენ ადამიანები, როცა იცოდნენ, რომ მათი ოთახების იქით მოსამსახურეები ლანდებივით დარიალებდნენ. ასე მგონია, ემინოდათ კიდევ

ამ აჩრდილებივით არსებების, მთელი დღეები მუხლჩაუხრელად რა-
ლაც გროშებისთვის რომ შრომობდნენ. ჩვენს მშვენიერ ოთახებ-
ში მხოლოდ ამ უკანა კიბით თუ მოხვდებოდით, რაც სრულებით
არ გვსიამოვნებდა. კიბის ქვედა ბაქანზე, სხვათა შორის, ეილინის
ოთახის კარს დაინახავდით, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო. ამ
ოთახში შეხედვა მხოლოდ ერთხელ მოვახერხე. მოცუცქნული ოთა-
ხი საგულდაგულოდ გამოწყობილი თოჯინებით იყო გამოტენილი.
უმრავლესობას თავსაბურავი ეხურა. ისინი იდგნენ, ისხდნენ ან იმ
ლოგინში იწვნენ, სადაც ეილინს ეძინა, თუ საერთოდ ეძინა და ლა-
მეებს ლილინ-ლილინით თოჯინებთან თამაშში არ ათენებდა. პარას-
კეობით და სადღესასწაულოდ ხსნის არმიის ფორმაში გამოწყობი-
ლი ეილინი სახლიდან მიდიოდა. პატარა გოგო გამოუვლიდა ხოლმე
და მერე ეილინს ხელჩაკიდებული ერთგულად მიჰყვებოდა. რაღაც
დრო დაგვჭირდა, რომ ეილინს მივჩვეოდით. უმიზეზოდ სამზარეუ-
ლოში ჭიხვინივით სიცილს რომ ატეხდა ხოლმე, მისი ხმა მეორე
სართულამდე აღწევდა და შიშით ძარღვებში სისხლი გვეყინებოდა.




ამას ისიც ემატებოდა, რომ ამ უზარმაზარ სახლში, ჩვენ გარდა, ის ერთადერთი იყო, ვინც მთელ დღეებს აქ ატარებდა. მისის სელვინი ხშირად მოგზაურობდა ან თავისი სახლების საქმეებს აგვარებდა, რომლებსაც ქალაქსა და მის შემოგარენში აქირავებდა. დოქტორი სელვინი კი, თუ ამინდი ხელს უწყობდა, ბალის შორეულ კუთხეში, თავის სავანეში განმარტოვდებოდა ხოლმე, რომელიც რიყის ქვებით მოეპირკეთებინა და ყველა საჭირო ნივთით აღეჭურვა. ჩვენი ჩასვლიდან ერთი კვირა ან ცოტა მეტი იყო გასული, როცა ერთ დილას სახლის სამხრეთ ნაწილში, თავისი ერთ-ერთი ოთახის ფანჯარასთან შევამჩნიე: სათვალე ეკეთა, მსხვილუჯრებიანი შოტლანდიური ხალათი ეცვა, ყელზე აბრეშუმის თეთრი ყელსახვევი მოეხვია და უჩვეულოდ გრძელ, ორლულიან თოფს ჰაერში რაღაცას უმიზნებდა. სანამ გაისროდა, მომეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გავიდა, მერე კი გასროლის ხმამ იქაურობა შეძრა. მაინტერესებდა, კარადაში ათეულობით წლით უქმად დების შემდეგ თოფი მსხვილ ნადირზე სანადიროდ თუ გამომადგებოდაო, ამისხნა შემდეგ დოქტორმა სელვინმა. იარაღი დიდი ხნის წინ, ახალგაზრდობაში ვიყიდე და თუ სწორად მახსოვს, მას შემდეგ ერთი-ორჯერ თუ შემომნდაო. მითხრა, თოფი მაშინ ვიყიდე, ინდოეთში რომ წავედი, სადაც პირველად შემომთავაზეს ქირურგის ადგილიო. მაშინ ჩემნაირებისთვის ასეთი იარაღი სავალდებულო აღჭურვილობა იყო; ამ თოფით სანადიროდ ერთადერთხელ ვიყავი და მაშინაც არ გამოვიყენე შესაძლებლობა, რიგიანად გამომეცადა. მაინტერესებდა, გამოდგებოდა თუ არა და დავრწმუნდი, რომ კაცს მარტო მისი უკუცემაც კი მოკლავსო.

როგორც გითხარი, დოქტორი სელვინი სახლში იშვიათად ჩერდებოდა; თავის პავილიონში ცხოვრობდა და მთელ დროს ფიქრებში ატარებდა, რომლებიც, ერთი მხრივ – როგორც თვითონ გამომიტყდა შემთხვევით – ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, მეორე მხრივ კი, სულ უფრო მეტად იძენდა სიცხადეს. ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე ერთადერთხელ ეწვია სტუმარი. გაზაფხული იყო, თუ არ ვცდები, აპრილის ბოლო. ჰედი შვეიცარიაში გახლდათ, როცა დოქტორი სელვინი ერთ დილას ჩვენთან ამოვიდა და გვითხრა,

ვანშამზე ძველი მეგობარი მენწვევა და თქვენც თუ შემოგვიერთდებით, დიდად გამახარებთო. სალამოს რვა საათისთვის ქვემოთ ჩავედით. მისაღებ ოთახში ბუხარში ცეცხლი ენთო, რომელიც სალამოს სიგრილეს კარგად ერეოდა. ოთახში რამდენიმე ოთხადგილიანი დივანი და მძიმე სავარძლები იდგა. კედლებზე მალალი, ალაგ-ალაგ დაბურული სარკეები ეკიდა, ამიტომ ანარეკლი ისეთ ილუზიას ქმნიდა, თითქოს ოთახში ცეცხლი ბევრგან ენთო. დოქტორ სელვინს იდაყვებზე ტყავგამოკრული ტვიდის პიჯაკი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. მისი მეგობარი ედუარდ ელისი – როგორც დოქტორმა სელვინმა გაგვაცნო – ცნობილი ბოტანიკოსი და ენტომოლოგი გახლდათ. ედუარდ ელისი მისგან სრულიად განსხვავდებოდა. ძალიან გამხდარი იყო და წელში გამართული იდგა, დოქტორი სელვინი კი ოდნავ წინ იხრებოდა ხოლმე. ბატონი ელისიც ტვიდის პიჯაკში გამოწყობილიყო. პერანგის ფართო საყელოდან რომელიღაც ფრინველივით თუ კუსავით დანაოჭებული კანი მოუჩანდა, რომელიც კისრის ყოველ მოძრაობაზე გარმონივით იკეცებოდა და იშლებოდა. პატარა, თითქოს განუვითარებელი თავი პრეისტორიული ცხოველისას მიუგავდა, სამაგიეროდ, თვალები უბრწყინავდა და სასიცოცხლო ენერგიას უშურველად აფრქვევდა. თავიდან ჩვენ-ჩვენს სამუშაოსა და მომავალი წლის გეგმებზე ვისაუბრეთ; აინტერესებდა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ინგლისი, განსაკუთრებით კი ნორფოლკის საგრაფოს გაშლილი ველები მათზე, ვინც მთებში გაიზარდა. შებინდდა. დოქტორი სელვინი წამოდგა და საზეიმოდ გაგვიძღვა სასადილო ოთახისკენ, რომელიც უშუალოდ მისაღებ ოთახს უერთდებოდა. მუხის მაგიდაზე, რომელთანაც თავისუფლად მოთავსდებოდა ოცდაათი ადამიანი, ვერცხლის ორი შანდალი იდგა. მაგიდის თავში დოქტორი სელვინი დაჯდა, ბოლოში – ედუარდი, ჩვენ კი ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს მიგვიჩინეს ადგილი. ოთახში ჩამობნელდა და გარეთაც სიმწვანეს ლურჯი ჩრდილი დაეფინა, რომელიც უფრო და უფრო მუქდებოდა. ჰორიზონტზე ჩამავალი მზის სხივები მოჩანდა, ჯერაც ქათქათა ღრუბლების მთებმა ალპების მწვერვალები გამახსენა. ელინმა ოთახ-

ში ჭურჭლის პატარა მაგიდა შემოაგორა, საჭმლის გამათბობელი მონყობილობით – კონსტრუქცია, რომელიც ოცდაათიან წლებში იყო დაპატენტებული. ის თავისი ნაცრისფერი კაბა-ხალათი ეცვა და საქმეს უხმოდ ასრულებდა, ზოგჯერ რალაცას თუ ჩაილაპარაკებდა ხოლმე თავისთვის. მაგიდაზე სანთლები ანთო, ჭურჭელი დაანყო და ისევე უსიტყვოდ და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, როგორც შემოვიდა. თეფშები ერთმანეთს გადავანოდეთ და საკუთარ თავს თავადვე მოვემსახურეთ. ჯერ დამარინადებული ისპანახის ფოთლებში გახვეული სატაცური მივირთვით. მთავარ კერძად ეილინს ბროკოლი მოემზადებინა კარაქით, ახალი კარტოფილი კი პიტნიან წყალში მოეხარშა. დოქტორმა სელვინმა აგვიხსნა, რომ კარტოფილი ერთ-ერთ ძველ სათბურში ქვიშასავით ნიადაგში ითესებოდა და აპრილის ბოლოს უკვე კაკლისოდენა ხდებოდა. ბოლოს ლერწმის შაქარმოყრილი რევანდის მუსი დავაყოლეთ ნაღებით. ყველაფერი იმ გაველურებული ბალიდან იყო. ტრაპეზის დამთავრებამდე ედუარდმა შევიცარიახე წამოიწყო ლაპარაკი, ალბათ, ფიქრობდა, რომ მე და დოქტორ სელვინს ბევრი რამ გვექნებოდა სათქმელი. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ დოქტორმა სელვინმა მოყოლა დაიწყო და თავისი ცხოვრების ის პერიოდი გაიხსენა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ბერნში გაეტარებინა. 1913 წელს ოცდაერთი წლის ასაკში კემბრიჯში სამედიცინო კოლეჯის დამთავრებისთანავე ბერნში გავემგზავრე სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ყველაფერი ისე არ განვითარდა, როგორც ვგეგმავდი, უმეტესად მთაში ვიყავი და მთამსვლელობა სულ უფრო და უფრო მიტაცებდაო, – გვიყვებოდა. – განსაკუთრებით დიდ დროს მაირინგენსა და ობერაარში ვატარებდი, სადაც კვირიდან კვირამდე ვრჩებოდი და სადაც მეგზური იოჰანეს ნეგელი გავიცანი, რომელიც პირველი დღიდანვე ძალიან მომეწონა. ყველგან მასთან ერთად დავდიოდი: ცინგენშტოკის, ლაუტერაარჰორნის, შრეკჰორნისა და ევიგშნეჰორნის მწვერვალებზე; არც მანამდე და არც შემდეგ ისე კარგად არ მიგრძნია თავი, როგორც ამ ადამიანის გვერდითო. ომი რომ დაიწყო, ინგლისში გამომიძახეს და ჯარში

გამინვიეს; ახლა, როცა ამ ყველაფერს ვიხსენებ, ვხვდები, რომ ყველაზე მეტად იოჰანეს ნეგელისთან გამომშვიდობება გამიჭირდა, – განაგრძობდა დოქტორი სელვინი. – ჰედისთან განშორებასაც კი არ მოუყენებია ისეთი ტკივილი – ჰედი ბერნში გავიცანი შობის დღეებში და ომის შემდეგ დავკორწინდით – როგორც ნეგელისთან; დღემდე თვალწინ მიდგას, როგორ მიქნევდა ხელს მაირინგენის სადგურში გამომშვიდობების ნიშნად. შეიძლება, ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ მე და ჰედი წლების მანძილზე ერთმანეთისთვის უცხო გავხდით, ხოლო ნეგელის რომ ვიხსენებ, მისდამი განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობ, თუმცა მაირინგენში გამომშვიდობების შემდეგ აღარასდროს შევხვედრივარ, – თქვა მან.




– ჩემი ჯარში განვევიდან ცოტა ხნის შემდეგ ნეგელი ობერაარის გზაზე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა და მას შემდეგ უკვალოდ დაკარგულად ითვლება, ვარაუდობენ, რომ აარის მყინვარის ნაპრაღში ჩაიჩეხა. ეს ამბავი პირველივე წერიღით შემატყობინეს, როცა უკვე სამხედრო ფორმა მეცვა და ყაზარმაში ვიყავი გამწესებული. ისეთმა დეპრესიამ შემიპყრო, რომ მთელი სამხედრო სამსახურის განმავღობაში მეგონა, თოვლსა და ყინულში თავად მე ვიყავი დამარხული.

– მაგრამ ეს ძველი ამბავია, – თქვა ხანგრძღივი პაუზის შემდეგ დოქტორმა სეღვინმა და ეღუარდს მიუბრუნდა: – ჯობს, სტუმრებს ის ფოტოები ვაჩვენოთ, ბოღოს კრეტაზე რომ გადავიღეთ.

სასადღიღო ოთახში დავბრუნდი. სიბნელეში ბუხრის მბჟუტავი ნაკვერჩხლები ანათებდა. დოქტორმა სეღვინმა ზარის ზონარი ჩამოქაჩა, რომელიც ბუხრის გვერდით ეკიდა და წამში, თითქოს დერეფანში ნიშანს ეღოდებოდაო, ეღინმა ოთახში ურიკა შემოაგორა, რომელზეც პროექტორი იდგა. ბრინჯაოს დიდი მოოქროვიღი საათი ბუხრის თავზე, მაისწერის ფაიფურის მწყემსი გოგოსა და ბიჭის ფიგურები, ჭრელაჭრულა ტანსაცმელში გამონყობიღი თვაღებდაჭყეტიღი მავრი გვერდზე გასწიეს და ეღინისავე შემოტანიღი, ხის ჩარჩოზე გადაჭიმული ტიღოს ეკრანი სარკის წინ დადგეს. პროექტორი აზუზუნდა და აქამდე უხიღავი ოთახის მტვერი შუქის კონუსში ისე გაბრწყინდა და ათამაშდა, თითქოს ფოტოების გამოჩენამდე ერთგვარი პრელუღია ყოფიღიყო. დოქტორ სეღვინსა და ეღუარდს კრეტაზე გაზაფხულზე ემოგზაურათ. ჩვენ თვალწინ თითქოს მწვანე საბურვეღში გახვეული კუნძუღის პეიზაჟი გადაიშალა. ეკრანზე რამდენჯერმე ეღუარდი გამოჩნდა – საველე ბინოკღითა და ბოტანიკოსის სპეციღღური ჩანთით. იქვე დოქტორი სეღვინიც იდგა, მოკლე, მუხღებამდე შარვღით, მხარზე გადაკიდებული ჩანთითა და ხელში პეპღების საჭერით. ერთ-ერთი ფოტო გასაოცრად ჰგავდა გშტაღდის მთებში გადაღებულ ნაბოკოვის სურათს, რომელიც რამდენიმე დღით ადრე შვეიცარიული გაზეთიდან ამოვჭერი. უცნაური, მაგრამ ამ ფოტოებზე ეღუარდიც და დოქ-

ტორი სელვინიც ახალგაზრდულად გამოიყურებოდნენ, თუმცა იმ დროს, ათი წლის წინ, როცა სამოგზაუროდ წავედნენ, სამოც წელს



უკვე კარგა ხნის გადაცილებულები იყვნენ. ვიგრძენი, რომ წარსულში დაბრუნებამ ორივეს გული აუჩუყა. თუმცა, შეიძლება, ასე იმიტომ მომეჩვენა, რომ ამ ფოტოებზე, იმ სურათებისგან განსხვა-

ვებით, რომლებსაც კუნძულის ფლორა და ათასნაირი მცოცავი თუ ფრთოსანი ცხოველი აღებეჭდა, სიტყვაც არ დასცდენიათ. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამონვა; მხოლოდ ეკრანიდან ისმოდა შრილის ხმა. ერთ-ერთ ბოლო სურათზე ჩრდილოეთის რომელიღაც ულელტეხილიდან გადაღებული ლასიტის პლატო მოჩანდა. სურათი, ალბათ, შუადღისას გადაიღეს, რადგან მზის სხივები მაყურებელს პირდაპირ თვალებში ანათებდა. პლატოს სამხრეთით აღმართული ორი ათას მეტრზე მაღალი სპათის მთა სინათლის ნაკადში მირაჟს ჰგავდა. დაბლობზე კარტოფილის ნათესებსა და ბოსტნებს, ხეხილის ბაღებსა და აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად მდგარ ხეებს დინახავდით. მთელ ამ სიმწვანეში ჩაფლული მიწის დაუმუშავებელი ნაკვეთები ქარის ტუმბოების უთვალავი თეთრი აფრით იყო დასერილი. ამ სურათებსაც დიდხანს და მდუმარედ ვუყურებდით, იმდენ ხანს, რომ ბოლოს პროექტორის მიწა გასკდა და ეკრანზე მუქი ბზარი გამოისახა. ლასიტის პლატოს ხედმა, რომელსაც გაბზარვამდე ვუმზერდით, ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და სული ამიფორიაქა, თუმცა მოგვიანებით მეხსიერებიდან სრულებით წამეშალა. რამდენიმე წლის შემდეგ ლონდონის კინოთეატრში, როცა დაუმერის ბალჩაში კასპარ ჰაუზერის საუბარს ვუსმენდი თავის მასწავლებელთან, ეს პეიზაჟი ხელახლა გამიცოცხლდა გონებაში. თავისი მენტორის გასახარად, კასპარი ამ სცენაში მას სიზმარსა და რეალობას შორის განსხვავებას ამ სიტყვებით უხსნის: „კი, მეძინა. დამეხიზმრა, რომ კავკასიაში ვიყავი“. შემდეგ კამერამ მარჯვნიდან მარცხნივ გადაინაცვლა და მთებით გარშემორტყმული პანორამა გამოჩნდა, რომელიც ძალიან ჰგავდა ინდიელთა ზეგანს: პაგოდის მსგავსი ტაძრები ტყეებსა და ამწვანებულ ბუჩქნარში, კოშკები და უცნაური სამკუთხა ფასადები, თავიდან ლასიტის ქარის ტუმბოების თეთრი აფრები რომ გამახსენა, რომლებიც სინამდვილეში არასდროს მენახა.

1971 წლის მაისის შუა რიცხვებში პრაიორს-გეიტიდან გადავედით: კლარამ ერთ ნაშუადღევს მოულოდნელად სახლი იყიდა. პირველ ხანებში ის ხედი გვენატრებოდა, ჩვენი ფანჯრებიდან ფარ-

თოდ რომ იშლებოდა, სამაგიეროდ, ახლა ორი ტირიფის მწვანე და ნაცრისფერი ფოთლები ჩვენი ახალი სახლის ფანჯრებთან გამუდმებით შრიალებდა, უქარო ამინდშიც კი. ხეები სახლიდან თხუთმეტი მეტრის მოშორებით იდგა, მაგრამ ფოთლების შრიალი ისე ახლოს ისმოდა, გეგონებოდათ, ტირიფები ზედ ფანჯარასთან დგასო. დოქტორი სელვინი ხშირად მოდიოდა სტუმრად ახალ, თითქმის ცარიელ სახლში და თავისი ბალიდან ძღვნად ბოსტნეულსა და მწვანილს მოგვართმევდა ხოლმე: ყვითელ და ლურჯ ლობიოს, საგულდაგულოდ გარეცხილ კარტოფილს, ბატატებს, არტიშოკებს, მწვანე ხახვს, სალბსა და კამას. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას – კლარა ქალაქში იყო – გრძელი საუბარი გავაბით და ბოლოს დოქტორმა სელვინმა მკითხა, მენატრებოდა თუ არა სამშობლო. არ ვიცოდი, რა მეპასუხა. დოქტორი სელვინი კი ჩაფიქრდა და ბოლოს გამომიტყდა – სხვა სიტყვას ამას ნამდვილად ვერ დავარქმევ – ბოლო წლებში ნოსტალგია სულ უფრო ძლიერ მიპყრობსო. კითხვაზე, მაინც რა გენატრებათ-მეთქი, მიპასუხა, შვიდი წლის ასაკში ოჯახთან ერთად ლიტვური სოფელი დავტოვე გროდნოსთან ახლოს და ემიგრაციაში წავედითო. 1899 წლის გვიანი შემოდგომა ყოფილა, როცა დედ-მამა, ორივე და, გიტა და რაია, ბიძია შანი ფელდჰენდლერი მეეტლე აარონ ვალდის საზიდრით გროდნოში წასულან. ათწლეულების მანძილზე მეხსიერებიდან გამქრალი ეს სურათები ისევ გაცოცხლდა და განუწყვეტლივ თავს მახსენებს, – მითხრა დოქტორმა სელვინმა. – ვხედავ, ჩემი მასწავლებელი, რომელთანაც ხედერში ორი წელი დავდიოდი, ქოჩორზე ხელს როგორ მადებს. ვხედავ დაცარიელებულ ოთახებს, ვხედავ, როგორ ვზივარ საზიდარზე, ვხედავ ცხენის გავას, ყავისფერ მიწას, კისრებწაწვდენილ ბატებს გლეხის კარ-მიდამოს ჭაობიან ადგილებში და გროდნოს სადგურის მოსაცდელ დარბაზს გავარვარებული ლუმლით, რომლის გარშემოც ემიგრანტთა ოჯახები მოთავსებულან; ვხედავ მატარებლის ფანჯრიდან ტელეგრაფის მავთულებს, რიგაში სახლის ფრონტონებს, ნავსადგურში გემს, გემბანის ბნელ კუთხეს, სადაც შეძლებისდაგვარად, სივინროვის მიუხედავად, შინაურულად მო-

ვენყვეთ; ვხედავ ღია ზღვას, კვამლის ბოლქვებს, ნაცრისფერ შორეთს, ტალღებს, რომლებიც გემს არწევს. ერთი კვირის შემდეგ, ბევრად ადრე, ვიდრე ვვარაუდობდით, მიზანს მივალწიეთ. გემი მდინარის ფართო შესართავში შევიდა. ყველგან დიდი და პატარა სატვირთო ხომალდები იდგა. ყველამ გემბანზე მოიყარა თავი და ელოდებოდა, როდის გამოჩნდებოდა ნისლის ბოლქვებიდან თავისუფლების ქანდაკება, რადგან ბილეთი ხომ ყველამ ამერიკუმში – ასე ვეძახდით ამერიკას – მოსახვედრად იყიდა. ხმელეთზე რომ გადმოვედით, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ფეხი ახალი სამყაროს, აღთქმული ქალაქის, ნიუ-იორკის მიწას დავადგით. სინამდვილეში კი თურმე, როგორც შემდეგ გამოირკვა (გემი უკვე დიდი ხნის გასული იყო ნავსადგურიდან), ჩვენდა სავალალოდ, ლონდონში ჩამოვსულვართ. უმეტესობა ახალ მდგომარეობას იძულებით შეეგუა. ზოგი კი, აშკარა მტკიცებულებების მიუხედავად, დიდხანს ვერ ელეოდა იმ აზრს, რომ ამერიკაში იყო და ამის ჯიუტად სწამდა. ასე რომ, სარდაფის ბინაში გავიზარდე, უაიტჩეპელში, გოულსტონ-სტრიტზე. მამაჩემი ლინზების მქლიბავი იყო და თან ჩამოტანილი ფულით რაღაც წილი შეისყიდა სათვალეების დამამზადებელ საამქროში, რომელიც თავის გროდნოელ თანამემამულეს ტოსია ფაიგელისს ეკუთვნოდა. დანყებით სკოლაში უაიტჩეპელში დავდიოდი და ინგლისური, როგორც სიზმარში, ისე ვისწავლე, რადგან ჩემს ახალგაზრდა მომხიბვლელ მასწავლებელს ლიზა ოუენს თვალს არ ვაცილებდი და თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას თითქოს მის ტუჩებზე ვკითხულობდი. მერე კი, სახლისკენ რომ მივდიოდი, გულში ყველა იმ სიტყვას ვიმეორებდი, რომლებსაც დღის მანძილზე მისგან ვისმენდი. სწორედ ეს მომხიბვლელი მასწავლებელი იყო, – ჰყვებოდა დოქტორი სელვინი, – ვინც მერჩენტ ტელიორის სკოლის მისაღებ გამოცდებზე ჩამწერა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იმ მცირერიცხოვან მონაფეთაგან ერთ-ერთი ვიქნებოდი, ვინც ხელმოკლე ოჯახებისთვის განკუთვნილ ყოველწლიურ სტიპენდიას მიიღებდა. მისი ყველა იმედი გავამართლე; უაიტჩეპელის ოროთახიანი ბინის სამზარეულოში, სადაც შუალამემდე ვიჯექი,

როცა ჩემი დები და მშობლები კარგა ხნის ჩაძინებულები იყვნენ, როგორც ბიძაჩემი შანი იტყოდა ხოლმე, შუეი არასდროს ქრებოდა. ვკითხულობდი და ვსწავლობდი ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა და ყველაზე მაღალი ბარიერიც კი იოლად დავძლიე. წლის ბოლოს, დამამთავრებელი გამოცდების შემდეგ, მეჩვენებოდა, რომ უგრძესი გზა გავიარე. თვითშეფასება მომემატა და თავს საუცხოოდ ვგრძნობდი. სახელი შევიცვალე და ჰერში სევერინის ნაცვლად ჰენრი სელვინი გავხდი. უცნაურია, მაგრამ როცა კემბრიჯში, ისევ სტიუპენდიის წყალობით, მედიცინის სწავლას შევუდექი, სწავლის უნარი თითქოს დამიქვეითდა, თუმცა საგამოცდო შედეგებით ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. დანარჩენი უკვე იცით, – მითხრა დოქტორმა სელვინმა. – ამას მოჰყვა შვეიცარიაში გატარებული წლები, ომი, ინდოეთში ერთწლიანი სამსახური და ჰედიზე ქორწინება, რომელსაც ჩემს წარმომავლობას დიდხანს ვუმალავდი. ოციან და ოცდაათიან წლებში მდიდრულად ვცხოვრობდით, რომლის კვალსაც, ალბათ, შეამჩნევდით. ასე გაიფლანგა ჰედის ქონების დიდი ნაწილი. სამედიცინო პრაქტიკა კი მქონდა და ქალაქის ჰოსპიტალში ქირურგადაც ვმუშაობდი, მაგრამ მხოლოდ ჩემი შემოსავალი ასეთ ხელგაშლილ ცხოვრებას ნამდვილად ვერ გასწვდებოდა. ზაფხულში ევროპაში ვმოგზაურობდით მანქანით. Next to tennis, – თქვა დოქტორმა სელვინმა, – *motoring was my greatest passion in those days.* მანქანები დღესაც გარაჟში აყენია და ალბათ, ისევ ადევს რალაც ფასი, მაგრამ ვერაფრის გაყიდვა ვერ მოვახერხე, *except perhaps, at one point, my soul.* People have told me repeatedly that I haven't the slightest sense of money. მომავალზე არ ვფიქრობდი და არც საპენსიო ასაკისთვის ფულის გადასანახად მიზრუნია. This is why I am now almost a pauper. ჰედიმ კი, ჩემგან განსხვავებით, ქონების დარჩენილი ნაწილი ჭკვიანურად დააბანდა და ახლა სრულიად უზრუნველყოფილია. დღესაც ვერ გეტყვით დარწმუნებით, რა გახდა ჩვენ შორის გაუცხოების მიზეზი: ფული, ჩემი წარმომავლობის გამაოშკარავებელი საიდუმლო თუ, უბრალოდ, გამქრალი სიყვარული. ომის წლები და მომდევნო ათწლეულები უნაყოფო და

უშინაარსო იყო. რომც მოვინდომო, ბევრს ვერაფერს მოგიყვებით. 1960 წელს, როცა იძულებული გავხდით, სამედიცინო პრაქტიკა და პაციენტები მიმეტოვებინა, გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე. მას შემდეგ მხოლოდ მცენარეებითა და ცხოველ-

MEPURA 23 JUILLET 1986 23 JUIL 1986

Trois fois coup sur coup dans les Alpes

CH/FD/4 avis suspects

Des linceuls s'

Hier, on a identifié le cadavre d'un guide disparu en 1914

Mais le phénomène des glaces qui rendent leurs victimes e

Septante-deux ans après sa mort, le corps du guide bernois Johannes Nageli a été libéré de son linceul de glace.

PAR
Veronique TISSIÈRES

Hier, on apprenait en effet que la dépouille découverte jeudi dernier sur le glacier supérieur de l'Aaz était celle de cet homme de Willigen (près de Meiringen) dont on avait perdu la trace depuis ces jours d'été 1914, où il resta

seul à la cabane du CAS. Agé, à l'époque de 66 ans, il est probable qu'il tenta de regagner la plaine par le glacier s'il n'y parvint jamais et toutes les recherches entreprises à l'époque demeurèrent sans résultats.

Coincidence ? Quelques jours avant la découverte de la dépouille du guide bernois, le corps d'un fantassin de l'armée austro-hongroise, victime de la Première Guerre mondiale, émergeait du Giege Lungo (Dolomites). Début juillet, enfin, la Vallée-Blanche rendait le cadavre d'une de ses victimes...

Trois cas recensés dans le massif alpin au cours des quinze premiers jours de juillet ! C'est beaucoup, c'est même tout à fait exceptionnel, car l'entassement de corps par les glaces contraintement à ce que pourraient le surposer les exemples ci-dessus reste un phénomène rare. « Rare et cyclique, précise-t-on au Service secours en haute montagne de la police valaisanne. Il ne faut en effet pas perdre de vue que ces restitutions sont étroitement liées au mouvement des masses de glace. Certaines années, glaciers du canton livrent deux victimes presque coup sur coup, puis rien pendant longtemps. »

Ce fut le cas l'an dernier. Le corps d'une jeune femme, disparue six ans auparavant, fut retrouvé à la face du glacier de Breny (val Bagnes). Peu après, le Thiodulè rest

L'histoire

Film, légendes, la res

l'imagination. Mais il

■ C'était en 1937. Fin août, le son terminée, le gardien de cabane Bertol (au-dessus d'Aroz) quitta la petite bâtisse pour la nuit. Il n'y arriva jamais. Des recherches furent entreprises, en vain.

Qu'était-il devenu ? Les jours allèrent bon train dans la région, l'été, on parla d'une escapade italienne. D'autant plus qu'il n'avait disparu seul, mais avec la caisse contenant les recettes du refuge.

Pas une grosse somme, de quoi toutefois recommencer une nouvelle vie ailleurs.

Sept ans plus tard, un gu repéra, émerquant de la masse glacière, une main tenant fermem



□ LE GLACIER DE L'AAZ
Qui vient de rendre un guide décédé en 1914.

L30-a

ბით ვსულდგმულობ, სხვა არაფრით. რალაცნაირად, მათ კარგად ვეწყობი, – თქვა დოქტორმა სელვინმა უცნაური ღიმილით, წამოდგა და რაც მისთვის ძალზე უჩვეულო იყო, გამომშვიდობების ნიშნად ხელი გამომინოდა.

ამ ვიზიტის შემდეგ დოქტორმა სელვინმა ჩვენთან სტუმრობას უკლო და სულ უფრო იშვიათად მოდიოდა. ბოლოს საფრანგეთში სამოგზაუროდ წასვლამდე ცოტა ხნით ადრე ვნახეთ, როცა კლარას წერწას ფოთლებშემოხვეული თეთრი ვარდების თაიგული მოართვა. რამდენიმე კვირის შემდეგ, ზაფხულის მიწურულს, თავისი დიდი სანადირო თოფით მოიკლა თავი. საფრანგეთიდან დაბრუნებულებმა შევიტყვეთ, რომ სანოლის კიდეზე ჩამომჯდარა, თოფი მუხლებს შორის ჩაუდვია, ნიკაპი ლულაზე დაუბჯენია და ინდოეთში გამგზავრების წინ ნაყიდი თოფი გაუსვრია, რომ სიცოცხლე მოესწრაფებინა. ამ ამბის გაგებისას შოკის გადატანა თითქოს არ გამჭირვებია, მაგრამ ვამჩნევ, რომ ზოგიერთი მოგონება დიდი ხნის შემდეგ სრულიად მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად მიცოცხლდება. 1986 წლის ივლისის ბოლოს რამდენიმე დღით შვეიცარიამი ვიყავი. 23 ივლისს, დილით, მატარებლით ციურიხიდან ლოზანაში გავემგზავრე. როცა მატარებელმა სვლა შეანელა და ბერნის მიმართულებით აარის ხიდზე გაიარა, ობერლანდის მთებიც გამოჩნდა. თუ მეხსიერება არ მლაღატობს, დოქტორი სელვინი ამდენი ხნის შემდეგ პირველად მაშინ გამახსენდა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, ის-ის იყო ციურიხში ნაყიდი გაზეთის გვერდზე გადადებდა დავაპირე, რათა ყენევის ტბის სილამაზით დავმტკბარიყავი, რომელიც ყოველ ჯერზე მაოცებდა, რომ პატარა წერილს მოვკარი თვალი, რომელიც მკითხველს ამცნობდა, 1914 წლის ზაფხულში უკვალოდ დაკარგული ბერნელი მეგზური იოჰანეს ნეგელის ნეშტი სამოცდათორმეტი წლის შემდეგ ობერაარის მყინვარში აღმოაჩინესო. ასე ბრუნდებიან მიცვალებულები: ზოგჯერ სამოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ მორენის კიდეზე გაპრიალებული ძვლების გროვა და დალურსმული ფეხსაცმელი აწყვია.